ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2018 წლის 30 მაისი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის – სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №45 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის – სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №45 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 30/04/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.117.016414).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ასლან საგანელიძე**